



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

הנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ივნისი
(თამაზი)
№7 (467)
(5780)
2020

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה

სტუმრად ისრაელის ელჩთან



თბილისის ებრაული თემის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ათიოდე დღით ადრე მიიღო მინვევა — ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რან გიდორი გაცნობითი ხასიათის სადილზე ინვევდა მათ. კორონავირუსის პანდემიის საფრთხის გამო, გაცნობა-სადილის ცერემონიალი ელჩის რეზიდენციის ეზოში — ღია ცის ქვეშ გაიმართა. აქ პირბადის გაკეთება არ გახლდათ აუცილებელი.

ბატონმა რან გიდორმა სტუმრებისადმი მისალმებისას თქვა:

— ალბათ, იცით, რომ თბილისში იანვარში ჩამოვედი. ებრაულ თემთან გაცნობითი ხასი-

ათის შეხვედრა თებერვლისათვის გეკონდა დაგეგმილი. გადაგვედო, მერე კი კორონავირუსმა შემოგვიტია და ვეღარ შევხვდით ერთმანეთს. დღეს ძალიან მოხარული ვარ, რომ გხვდებით ჯანმრთელთა და უვნებელთა. თბილისის საელჩოში 20 წლის წინათ ვმუშაობდი. იმ წლებში გაცნობილ ებრაული თემის ბევრ წარმომადგენელს დღესაც ვხვდავ და მათი წარმატების თაობაზეც მესმის. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მასთან სტუმრობისას მითხრა, რომ მეგობრობს ხუბაშვილთან, კოტე მარჯანიშვილის თეატრში სტუმრებისას მითხრეს, რომ გურამ ბათიაშვილთან თანამშრომლობენ და მისი არაერთი პიესა განახორციელეს, ხოლო საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მუშაობის გაცნობისას, საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი დავით ლორთქიფანიძე მესაუბრა, ხელოვნებათმცოდნე ლელა წინუაშვილი რაოდენ სერიოზულად სწავლობს ქართული ებრაელობის კულტურულ მემკვიდრეობას.

გულთბილად მიესალმა რა თბილისის ებრაული თემის წარმომადგენლებს, რან გიდორმა გამოთქვა რწმენა, რომ შეხვედრები ინტენსიური გახდება და თემი ისე იცხოვრებს, რომ საქართველოში მისი დამკვიდრების 27-ე საუკუნესაც აღნიშნავენ.

ღია ცის ქვეშ გულთბილი საუბარი გვიან საღამომდე გაგრძელდა.

შეხვედრა ებრაული თემების ლიდერებთან



გაიმართა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტ მიხეილ მირილაშვილისა და გენერალური დირექტორის ხაიმ ბენ იაკობის ონლაინ შეხვედრა სხვადასხვა სახელმწიფოებიდან კონგრესში შემავალი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე განიხილეს კორონავირუსის პანდემიის ზეგავლენა რეგიონების ებრაელთა ყოფაზე. ამავე დროს გაიმართა საუბარი იმაზე, თუ როგორი საორგანიზაციო ღონისძიებები უნდა იქნას გატარებული იმისათვის, რომ კონგრესმა კრიზისის უამსაც შეინარჩუნოს ქმედითუნარიანობა და ფინანსური დახმარება არ მოაკლდეს თემებს.

შეხვედრაზე მიხეილ მირილაშვილმა თქვა:

— მიუხედავად მდგომარეობის სირთულისა, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის ლიდერები სულიერ მხნეობას ინარჩუნებენ. მსოფლიო კრიზისი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენ არა მხოლოდ გავუმკლავდებით ამ დიდ განსაცდელს, მასთან შერკინებით უფრო ძლიერი გავხდებით, ვიდრე ვიყავით.



არგენტინის ხელისუფლების გადაწყვეტილება

8 ივნისს არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ გაიზიარა და მიიღო ჰოლოკოსტის ხსოვნის საერთაშორისო ალიანსის (IHRA) მიერ შემუშავებული ანტისემიტიზმის სამუშაო განსაზღვრება. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ანტისემიტიზმის განსაზღვრის მიღება ხელისუფლებას ხელს შეუწყობს „ჩაატაროს გამაფრთხილებელი ღონისძიებები“ ანტისემიტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. IHRA ანტისემიტიზმს განმარტავს, როგორც „ებრაელთა მიერ გარკვეული აღქმა, რომელიც შესაძლოა გაგებულ იქნას, როგორც ებრაელთა სიძულვილი“ ეს ფორმულირება თავის თავში მოიცავს გავრცელებულ ანტისემიტურ ქმედებებსა და შეხედულებებს, მათს შორის გახლავთ: ჰოლოკოსტის უარყოფა, ისრაელის, როგორც სახელმწიფოს არსებობაზე უარის თქმა, ისრაელის პოლიტიკის გამო პასუხისმგებლობის ებრაელებზე დაკისრება, ებრაელებზე შექმნილი ნეგატიური სტერეოტიპების — როგორცაა „ჩრდილოვანი ხელისუფლების“ გამოყენება და სხვ.

BBC-ის ფილმის წარდგენა

BBC-მ გადაიღო ფილმი იმაზე, თუ დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტულ პარტიაში რაოდენ არის განვითარებული ანტისემიტიზმი. 4 ივნისს ეს ფილმი დიდი ბრიტანეთის კინო და სატელევიზიო აკადემიის პრემიაზე — BAFTA იქნა წარდგენილი. დოკუმენტური ფილმი „არიან თუ არა, ლეიბორისტები ანტისემიტიზმი?“ ეკრანზე შარშან, ივლისში იქნა ნაჩვენები. ახლახან კი კინოაკადემიის ყოველწლიურ პრემიაზე ნომინაციაში „აქტუალური პრობლემები“ წარადგინეს. ამავე ნომინაციაში სხვა გახმაურებული ფილმებიცაა წარდგენილი. დაჯილდოების ცერემონია 31 ივლისს გაიმართება.

ფილმში „არიან თუ არა ლეიბორისტები ანტისემიტიზმი?“ მოყვანილია ამ პარტიის ყოფილი წევრების მოსაზრებები. ისინი აცხადებენ, რომ უკანასკნელ წლებში ებრაელობისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი, რადგან პარტიის სხვა წევრები ისრაელის ხელისუფლების ქმედებების გამო ებრაელებისაგან მოითხოვდნენ პასუხს.

ქვეყნად ყველაფერი იცვლება

ორგანიზაცია Quacquarelli Symonds-ი სწავლობს მსოფლიოს უნივერსიტეტების რეიტინგს. შეფასების კრიტერიუმი გახლავთ მასწავლებელთა დონე, სტუდენტთა და პედაგოგთა თანაფარდობა და ის, თუ როგორი საერთაშორისო გამოძახილი აქვს ამათუიმ უმაღლეს სასწავლებელში ჩატარებულ სამეცნიერო კვლევებს. 10 ივნისს Quacquarelli Symonds-მა გამოაქვეყნა მსოფლიოს უნივერსიტეტების რეიტინგი. ახალი მასალების შესწავლისას ირკვევა, რომ ისრაელის უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგი იცვლება.

იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი ისრაელში პირველ ადგილს იჭერს, მსოფლიო რე-

იტინგის მიხედვით კი 177-ე ადგილზეა, თუმცა, შარშან 15 საფეხურით მაღლა გახლდათ.

თელ-ავივის უნივერსიტეტი შარშან 219-ე ადგილზე იყო, წელს 230 პოზიციაზეა.

ხაიფის ტექნიკური უნივერსიტეტი მსოფლიოს უმაღლეს სასწავლებელთა შორის 257-ე ადგილს იჭერდა, წელს კი 291-ე ადგილზეა, ბევრ შევას დავით ბენ გურიონის სახ. უნივერსიტეტი იყო 419-ე ადგილზე, წელს კი 446-ე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო ისრაელის ორი უმაღლესი სასწავლებელი — ბარ ილანის უნივერსიტეტი და ხაიფის უნივერსიტეტი, მსოფლიოს უმაღლეს სასწავლებელთა ხუთასეულშიც კი ვერ მოხვდა.

მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების სიას აგერ უკვე მეცხრე წელიწადია აშშ უნივერსიტეტი MIT უდგას სათავეში. მეორე და მესამე

ადგილებს აშშ — სტენფორდის და ჰარვარდის უნივერსიტეტები იჭერს, მეოთხე ადგილზეა კალიფორნიის ტექნოლოგიის ინსტიტუტი, ხუთეულს დიდი ბრიტანეთის — ოქსფორდის უნივერსიტეტი ამთავრებს.

ახალ სარეიტინგო მონაცემებთან დაკავშირებით იერუსალიმის უნივერსიტეტში განაცხადეს:

— მოხარული ვართ იმით, რომ ისრაელის უმაღლეს სასწავლებელთა შორის პირველ ადგილს ვიჭერთ. ეს რეიტინგი ხაზს უსვამს, თუ რაოდენ პრესტიჟულია ისრაელის განათლების სისტემა. ჩვენი სამეცნიერო კვლევები კონორავირუსის აფეთქების უამსაც კი არ შეწყვეტილა. უნივერსიტეტში მუშაობს 60 სამეცნიერო-კვლევითი ფაქულტი და ყოველი მათგანი ასეთუისე კორონავირუსთან არის დაკავშირებული.

სოფელ ბანძის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ისტორიიდან (XIX ს-ის II ნახევარი – XX ს-ის I ნახევარი)

ივორ კაკელია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ებრაელთა ჩამოსახლება ბანძაში

XVII ს-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ოდიშის სამთავროში ვაჭრობის საკითხებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ოჯახში საჭირო სხვა საგნების შესაძენად ორი საშუალება აქვთ: ერთია ბაზრობა, რომელიც იმართება სამეგრელოში, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს, და მეორეა თურქთა გემები, რომელნიც ყოველ წელიწადს მოადგებიან სავაჭროდ სამეგრელოს ნაპირებს. უმთავრესი ბაზრობა იმართება სექტემბრის პირველ კვირაში, ნიფურისა და ეკლესიასთან, სადაც ზოგჯერ ოციათას კაცამდე იკრიბება. ნიფურის გარდა, ბაზრობა იმართება ილორის წმ. გიორგის ეკლესიასთან, ბედიში, კორცხელსა და სხვა მრავალ ადგილას (ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 2011, გვ. 178-180).

მოგვიანებით, XVIII ს-იდან, ოდიშის სამთავროში დასახლებას იწყებენ ურიანნი (ებრაელები), რომლებიც ძირითადად ვაჭრობას მისდევდნენ. ისტორიკოსი, გეოგრაფი და პოლიტიკური მოღვაწე ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების აღწერისას, ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში მიუთითებს ებრაელთა დასახლების არსებობას. ასე, მაგალითად: „ბრილის წყლის შესართავს ზეით არის ალისწყალზედ, დასავლით, კიდესა ზედა, ალი, ქალაქი მცირე, მსახლობელნი არიან სომეხნი და ურიანი, მცირედ ქართველნი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 82.); „მინდარას დასავლით, არს სურამი, მცირე ქალაქი. მოსახლენი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი“ (იქვე, გვ. 83); „ზუსას მდინარის დასავლეთით, არს ჩიორი, ქალაქი [მცირე. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი“ (იქვე, გვ. 155); „ქუთათისი... მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი“ (იქვე, გვ. 158) და ა. შ.

სამეგრელოში ებრაელები მოსახლეობდნენ სუჯუნაში, ბანძაში, სენაკსა და ფოთში (იხ. ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში, თბ., 1990, გვ. 66). საგულისხმოა ის გარემოება, რომ სამეგრელოს ჩამოთვლილ დასახლებულ პუნქტებში ვახუშტი ებრაელთა ცხოვრების კვალზე არ მიუთითებს. ზაქარია ჭიჭინაძემ ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში ახსენებს ბანძას, მაგრამ ებრაელთა დასახლების ამ სოფელში არსებობაზე არაფერს ამბობს. მამასადაძემ, მისი მოღვაწეობის პერიოდში (XVIII ს-ის I ნახევარი) „იქ ებრაელნი არ ცხოვრებულან“ (ზ. ჭიჭინაძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 66).

კუთვნილების თვალსაზრისით სამეგრელოში საეკლესიო-სამონასტრო და სათავადაზნაურო ყმები იყვნენ. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მართლმადიდებელი ეკლესიის ყმები ყოფილან, რაც, გარკვეულწილად, უნიკალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ყმა ებრაელი ეკლესიის თუ ფეოდალის (ბატონის) გა-

დასახადს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით და ბეგარით იხდიდა. მათი უფლებრივი მდგომარეობა ქართველ ყმა-გლეხთა ანალოგიური იყო. საუკუნეების მანძილზე ისინი ითავისებდნენ ქართველებისთვის დამახასიათებელ ურთიერთობის ფორმებს და ყოფითი კულტურის ელემენტებს. გრიგოლ ბეჟანის ძე დადიანი, ჭყონდიდელი მიტროპოლიტის, მიერ 1770 წელს შედგენილი სიგელიდან ირკვევა, რომ მარდახა ურია და მისი ძმა იაკობა, მათივე ცოლშვილით, ჭყონდიდელს „ძვირფასად“ დაუხსნია და სუჯუნის საყდრის მახლობლად დაუსახლებია (იხ. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტფ., 1921; მსჯელობისათვის იხ. კ. კაჭარავა, სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიის ისტორია, თბ., 2009, გვ. 39-40).

ეს არის ჩვენთვის ცნობილი პირველი წერილობითი დოკუმენტი ოდიშში (სამეგრელო) ებრაელთა დასახლების შესახებ. მაგრამ არსებობდა თუ არა ბანძაში იმავე პერიოდისთვის ებრაელთა დასახლება, ამის შესახებ პირდაპირი და უტყუარი წერილობითი ცნობა არ მოგვეპოვება. ამიტომ ისრაელში გამოშვალ ქართულენოვან გაზეთში 1990 წელს სუჯუნელ ებრაელთა ყოფაცხოვრების შესახებ გამოქვეყნებულ ერთ საინტერესო სტატიაში მოცემული ცნობა - ახსოვს ამ სოფელს XVIII საუკუნიდან მოყოლებული, თანდათან როგორ დასახლდნენ აქ ქუთაისიდან, ლაილაშიდან, ბანძიდან, კულაშიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმოსული ებრაელები, დაუსაბუთებლად გვეჩვენება (ყურნალი „დროშა“, 70, სექტემბერი, 1990). სუჯუნაზე უადრესად ბანძაში ებრაელთა ცხოვრების კვალი ისტორიული წყაროებით არ დასტურდება.

ბანძის ისტორიის შესახებ გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო სესიებზე ნაკითხულ მოხსენებებში მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ალექსანდრე გაბუნია ამ სოფელში ებრაელთა ჩამოსახლების პერიოდად XVIII ს-ის მეორე ნახევარს ასახელებს და წერს: ფულადი-სასაქონლო მეურნეობის შემოჭრის წინა პერიოდში ამ ადგილის დანიშნულებას მისი სტრატეგიული (სამხედრო და ეკონომიკური

მნიშვნელობის გზაჯვარედინზე) მდებარეობა განაპირობებდა. XIX ს-ის დასაწყისისათვის ალბ-მიცემობის თვალსაზრისით, თვალსაჩინო შედეგები მოაქვს არა მხოლოდ ბანძისათვის, არამედ ქუთაისი, სუჯუნა, ნოქალაქევი და ხონიც ამ მხრივ მნიშვნელოვანი კერები ხდებიან. სუჯუნაში ებრაელთა უბნის შექმნას ყურადღებას აქცევენ ბანძის მფლობელი ფალავები და გაბუნები და გვიან, XVIII ს-ის II ნახევარში, ბეჟან და ლევან გაბუნები ბანძაში შემოჰყავთ ებრაელთა ერთი ოჯახი, კაფავენ ტყეს და ამ ოჯახს სწორედ იმ ადგილას ასახლებენ, რასაც დღეს „ურიაკარი“ ეწოდება. შემდეგ მას ებრაელთა ახალი ოჯახებიც ემატება და საჭილაო-ჭყონდიდისა და არგუეთ-კლისორის გზაჯვარედინზე მდებარე ბანძის ებრაელთა უბანი (ურიაკარი) გაცხოველებული ვაჭრობის ცენტრი ხდება (ა. გაბუნია, სოფელ ბანძის ისტორიისათვის. გვ. IX სამეცნიერო სესია. თეზისები. ქუთ., 1967, გვ. 16-17).

ბანძაში ებრაელთა ჩამოსახლებას XVIII ს-ის დასასრულში ვარაუდობს გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი გივი ფარულავა. „სულ მალე გაფართოვდა ებრაელთა უბანი. ისინი ვაჭრობის და ხელოსნური საქმიანობის ინიციატორები გახდნენ. სავაჭრო და ხელოსნურ საქმიანობას ხელი მოკიდეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, მალე ბანძის სავაჭრო სახლები და საქმოსნები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (სიმინდი, კვერცხი, ღვინო, პირუტყვი და სხვ.), ნედლეულის (ტყავი, მატყლი, ხე-ტყე და სხვ.) მიმწოდებელი გახდნენ არამარტო საქართველოს და რუსეთის ცენტრებისათვის, არამედ, ხშირად ისინი საერთაშორისო ბაზარზეც გადიოდნენ ხოლმე. მალე ბანძაში ერთგვარი სავაჭრო გაერთიანებებიც კი იქმნება, რომლებიც თავიანთ ხელში იღებენ სამრეწველო საქონლის შემოტანისა და გასაღების ინიციატივას (მეფართლები, მეპურეები, მეთევზეები და სხვ.)“ (გ. ფარულავა, ფულადი-სასაქონლო მეურნეობის პირველი კერები განაპირა მხარეებში - სოფ. ბანძა. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ბანძის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გაერთიანებული XV სამეცნიერო სესია. თეზისები. გეგეჭკორი, 1971, გვ. 19-20).

ბანძაში ებრაელთა ჩამოსახლების ისტორიას შეეხება აგრეთვე მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ანა ჩიქვანაია. XVIII ს-ის დასასრულსა და XIX საუკუნეში ამ ადგილის მნიშვნელოვან, მჭიდროდ დასახლებულ, სავაჭრო-ეკონომიკურ და სახელოს-



ნო წარმოების პუნქტად გადაქცევას მკვლევარი სავსებით სამართლიანად მნიშვნელოვან სტრატეგიულ გზაჯვარედინზე მდებარეობით ხსენის: აქ ერთმანეთს კვეთდა სუჯუნა-ჭყონდიდისა და არგუეთ-კლისორის სავაჭრო-საქარავნო გზები (ა. ჩიქვანაია, სოფელ ბანძის ისტორიისათვის, გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამხარეთმცოდნეო მუზეუმის XX-VII სამეცნიერო სესიის მასალები. გეგეჭკორი, 1982, გვ. 68). მკვლევარი დასძენს, რომ „კარგმა ადგილმდებარეობამ ხელი შეუწყო ბანძის სწრაფ კულტურულ-ეკონომიკურ დანიშნულებას, ალბ-მიცემობისა და ვაჭრობის განვითარებას. ბანძა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლის ცენტრად აქ ებრაელებს ჩამოსახლების მერე, XVIII საუკუნიდან ქცეულა“ (იქვე, გვ. 69). მოხსენების თეზისებში ა. ჩიქვანაია არ იმონებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეყრდნობა და იზიარებს ალ. გაბუნიას თვალსაზრისს, როცა წერს: ებრაელთა „ჩამოსახლებასა და აქ დამკვიდრებას, განსაკუთრებით შეუწყვეს ხელი ბეჟან და ლევან გაბუნებმა. მისცეს მათ საცხოვრებელი ადგილი, რომელსაც შემდეგ ურიაკარი დაერქვა. უფრო გააქტიურდა სამეურნეო ყოფაც და კულტურაც, გამოცოცხლდა ადგილობრივი მოსახლეობა, შეიქმნა სახელოსნოები, გაიხსნა დუქნები, შორს გაითქვა სახელი ადგილობრივი მჭედლების, ოქრომჭედლების და სხვა ხელოსანთა ნახელავმა“ (იქვე, გვ. 69-70). ბანძელ ებრაელთა ისტორიის შესახებ ამავე მუზეუმის თანამშრომელი დევი ელიავა შენიშნავს, რომ XVIII ს-ის შუა პერიოდდან ებრაელები მტკიცედ იკიდებენ ფეხს ყულევი, ფოთში, კულაში, ორპირში, ქუთაისში, ლაილაში, სენაკსა და, მოგვიანებით, ბანძაში. ქართველ ებრაელებს უფლება ჰქონდათ, ქვეყნის შიგნით განვითარებინათ ვაჭრობა და ასევე უცხო ქვეყნებიდანაც შემოეტანათ საქონელი... თავადმა ფალავამ ეკონომიკური ცხოვრების გასაღრმავებლად ჩამოიყვანა ებრაელი სოფდაგრის ერთი ოჯახი, რომელსაც აქ ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა. მის მიმართ თავად ფალავას მიერ თვალსაჩინო შეღავათები გავრცელდა. ებრაელებს შეღავათები მიეცათ ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, ყმობის ვალდებულების გადახდის საქმეებშიც. ამ ოჯახს შემდეგ რამდენიმე ახალი კომლიც მოჰყვა. დაიწყო ბანძელ ებრაელთა მოგზაურობა მთასა და ბარში, შეიკრა შინაგანი და საგარეო კავშირ-ურთიერთობანი და ა. შ. (დ. ელიავა, ბანძა - სამეგრელოს სააღმშენებლო და კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი წამყვანი კერა XIX საუკუნესა და XX საუკუნის I ნახევარში. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის XXXVIII სამეცნიერო სესია. თეზისები. 1992, გვ. 12-13).



ბანძა, იმ. აჯვარედინების ბიეთ ქნესეთი

(გაგრძელება იქნება)

რან ბილორი: დღეს საქართველო არის თანამედროვე, დახვეწილი სახელმწიფო და ჩვენი ქვეყნების ორმხრივი ურთიერთობაც შესაბამის დონეზე უნდა წარიმართოს

„მენორას“ რედაქტორის შაკითხვებს ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბ-ნი რან ბილორი პასუხობს

— საქართველოში დიპლომატიურ სამსახურს მეორედ ეწვეით: გასული საუკუნის 90-იან წლებში საელჩოს თანამშრომელი იყავით, დღეს კი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგში მოგვევლინეთ. გვსურს მოგილოცოთ ასეთი წარმატება. ეს გვახარებს, რადგან მივიჩნევთ, რომ პირველი ნაბიჯები ჩვენთან გადადგით და დაგვამახსოვრდა თქვენი კეთილგანწყობა საქართველოსა და მისი ებრაელობისადმი.

პირველი შეკითხვა სწორედ ამ თემასთან გახლავთ დაკავშირებული:

ა) როგორ მოიგონებთ იმდროინდელ საქართველოს — რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

ბ) როგორ დაახასიათებდით დღევანდელ საქართველოს — რა ცვლილებას ამჩნევთ ქვეყანას?

— გვიანდელ 90-იან წლებში საქართველო ჯერ კიდევ იმ შოკებისგან რეაბილიტაციას ცდილობდა, რაც დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის დაშლასა და სამოქალაქო ომებთან. მე კარგად მახსოვს, თუ როგორი საცხოვრებელი პირობები იყო და რა გამოწვევების წინაშე იდგა მაშინ მოსახლეობა. ასევე, არ დამავიწყდება ის გამბედაობა და გამძლეობა, რაც ჩვეულებრივმა ხალხმა ამ რთულ პერიოდში გამოავლინა. ჩვენ, უცხოელი დიპლომატები, საშუალოზე უფრო კარგი პირობებით ვსარგებლობდით, მაგრამ ამ პირობებშიც კი ჩვენთვისაც საკმაოდ რთული იყო იმ დროს არსებულ შეზღუდვებში ცხოვრება. დღეს, 20 წლის შემდეგ, შეუძლებელია ვერ შეამჩნიოთ ის კარდინალური ცვლილებები, რაც ქვეყანამ განიცადა: საქართველო ბევრი გაგებით ევროპული ქვეყანა გახდა და ეს ეხება არა მხოლოდ მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურას, არამედ თავად ხალხის მენტალიტეტსაც და ბიზნესკარგმოს. საქართველო გახდა საოცნებო ადგილი ტურისტებისთვის და მიმზიდველი ბაზარი უცხოური ინვესტიციებისათვის.

— საქართველოში თქვენი მუშაობა საკმაოდ საჯაროა: სოციალურ ქსელში ლამის ყოველდღე ვეცნობით ინფორმაციას ხელისუფლების, ყოფიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან თქვენი შეხვედრების შესახებ. ეს ძალიან კარგია და მეტყველებს თქვენს სურვილზე სრულყოფილად იცნობდეთ საქართველოს, მაგრამ ამ ქვეყანაში ებრაელი მეციხეები, კულტურისა, თუ სხვა სფეროს მუშაკებიც ცხოვრობენ. მათთან შეხვედრების თაობაზე არაფერი ნაკვიკითხავს.

— სამწუხაროდ, ეს სიმართლეა და ვეცდები ეს ნაკვიკითხავი გამოვასწორო. მე საქართველოში ჩამოვედი 3 იანვარს და ისევე, როგორც ნებისმიერ ახალ ელჩს, პირველი კვირები უნდა დამეთმო საქართველოს წამყვან პირებთან შეხვედრებისათვის. პირველ ორ თვეში დაახლოებით 250 შეხვედრა გავემართე. შევხვდი ბატონ ბიძინა ივანიშვილს, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარას, ყველა სახელმწიფო მინისტრსა და მათ მოადგილეებს, პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, პარლამენტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო კომიტეტების წარმომადგენელთა უმეტეს ნაწილს, წამყვანი ბანკების მმართველებს, ყველა გავლენიან ტელევიზიას, რადიო და მედია ორგანიზაციებს. მე მხოლოდ მაშინ მექნება ისრაელისა და ებრაელი ხალხის ინტერესების გატარების შესაძლებლობა, თუ მნიშვნელოვან პერსონალურ კონტაქტებს დავამყარებ გავლენიან პირებთან და საზოგადოების საკვანძო წარმომადგენლებთან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოვახერხე ებრაული თემის რამდენიმე ლიდერთან შეხვედრა (მათ უმეტესობას მე კარგად ვიცნობ 1990 წლებიდან მოყოლებული), მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი. სამწუხაროდ, იმ დროისთვის როდესაც მე აუცილებელი შეხვედრების პირველი რაუნდი დავასრულე, კორონა-



ვირუსის პანდემია დაიწყო და ჩვენც იძულებული გავხდით, ყველა ჩვენი სამუშაო, მათ შორის, შეხვედრებიც, რამდენიმე თვით გადაგვედო. თუმცა, დღეს, როდესაც ნელ-ნელა უკვე მუშაობის ჩვეულ სტილს ვუბრუნდებით, მე პრიორიტეტულად ვგეგმავ შეხვედრებს ქართველ ებრაელებთან.

— ალბათ, აუცილებელიც იყო მკაფიოდ გამოკვეთილიყო საელჩოს ფუნქცია და ადგილი საქართველო-ისრაელის თანამედროვე ურთიერთობაში. ამიტომ მისასალმებელი გახლდათ ამ ცოტა ხნის წინათ ისრაელის საელჩოს მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ სწორედ საელჩოა ის ინსტიტუტი, რომელიც წარმართავს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას. უფრო დანვრისებით ხომ არ შეჩერდებით ამ საკითხზე?

— საქართველოში, 90-იან წლებში, საკმაოდ ქაოტური სიტუაცია იყო და ძალიან ცოტა უცხოელი ინვესტორი, თუ ბიზნესმენი დაინტერესდებოდა აქ შემოსვლით. შედეგად, კერძო პირებმა და ორგანიზაციებმა შეავსეს ეს სივრცე და აიღეს ის პასუხისმგებლობა, რაც ჩვეულებისამებრ სახელმწიფოს ოფიციალური დეპარტამენტების პერეოპტივაა. აღნიშნული პირების ინიციატივები და აქტივობები ძალზე მნიშვნელოვანი იყო იმ დროს და ჩვენ ყველა მადლიერი ვართ მათი ამ გზის გახსნისათვის. თუმცა, დღეს, უკვე თითქმის 30 წლის შემდეგ, საქართველო არის თანამედროვე, დახვეწილი სახელმწიფო და ჩვენი ქვეყნების ორმხრივი ურთიერთობაც შესაბამის დონეზე უნდა წარიმართოს ისევე, როგორც ისრაელის ურთიერთობა დანიასთან, იტალიასთან, ესპანეთთან, ნიდერლანდებთან თუ ნებისმიერ სხვა ევროპულ ქვეყანასთან - ჩვენი ქვეყნების დიპლომატიური, კომერციული, საკონსულო, კულტურული და ტურისტული ურთიერთობებიც იგივენაირად უნდა იმართებოდეს პროფესიონალური მიერ, რომელთაც გააჩნიათ ამის ოფიციალური უფლებამოსილება და აუცილებელი კომპეტენცია. ებრაული თემი საქართველოში არის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და წარმატებული მსოფლიოში. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი არაჩვეულებრივი თემი იმსახურებს მხარდაჭერას ორივე ქვეყნის პროფესიონალი დიპლომატებისგან, ისევე როგორც მაღალი დონის ინვესტორებისგან, ბიზნესმენებისგან, იურისტებისგან და კვალიფიციური ექსპერტებისგან ყველა შესაბამის სფეროში. ის დრო, როდესაც თვითდანიშნული შუამავლები უძღვებოდნენ (ქვეყნებს შორის) ორმხრივ ურთიერთობას, უკვე დიდი ხანია წავიდა.

— გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იქმნება ისრაელ-საქართველოს ბიზნეს პალატა. ვიდრე ამ პალატის ახალი ხელმძღვანელი იქნებოდეს ჩვენი რედაქციის სტუმარი, ნება მოგვეცით, ვიკითხოთ: არის კი საქართველოსა და ისრაელს შორის ისეთი სავაჭრო ურთიერთ-

ობა, რომ პალატაც შეიქმნას?

— ეს ძალიან კარგი კითხვაა. ჩვენ კარგი ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ შესაძლოა ბევრად უკეთესი გვექონოდა ჩვენი ხალხის განსაკუთრებული მეგობრობიდან გამომდინარე, კულტურული, აკადემიური კავშირებისა და გეოგრაფიული განლაგების გათვალისწინებით და ასევე აქ არსებული ებრაული თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე. სწორედ ამიტომ გვჭირდება თანამედროვე, დახვეწილი, პროფესიონალური სავაჭრო პალატა, რომელიც რეგისტრირებულია ისრაელშიც და საქართველოშიც და აღიარებულია და მხარდაჭერილი ორივე ქვეყნის მთავრობების მიერ. მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ შესაბამის ორგანოებში შემომხმების ხანგრძლივი და სკრუპულოზური პროცესის გავლის შემდეგ, აღნიშნული სავაჭრო პალატა უკვე დარეგისტრირდა ისრაელში და თბილისის ფილიალიც მალევე გაიხსნება.

— ახალი სავაჭრო პალატა სრულიად გამჭვირვალეა ყველა მის ასპექტთან მიმართებაში: ბიუჯეტი, დღის წესრიგი, იერარქია. მას ჰყავს დირექტორთა საბჭოს 20 წევრი, მათ შორის ისრაელის მთავრობის ყოფილი მინისტრები, ქვეყნის წამყვანი იურისტები, ბიზნეს ექსპერტები და მეწარმეები.

აღნიშნული ორგანო მოგვანვდის ორმხრივი ურთიერთობის გაძლიერებისათვის იმ აუცილებელ ინსტრუმენტებს, რომლებიც ასე გვაკლდა 30 წლის განმავლობაში.

— თქვენ ერთობ აქტიური ელჩი ბრძანდებით: მართავთ შეხვედრებს სხვადასხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, ცალკეულ პირებთან, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველო-ისრაელის ისტორიულად კეთილ ურთიერთობას. თუ შეიძლება, მკითხველს უამბოთ რა იქნება ახალი საქართველო-ისრაელის საქმიან ურთიერთობაში.

ა) შარშან ისრაელის ბიზნესპალატა ავრცელებდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ისრაელის ხელისუფლებასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება და საქართველოდან ისრაელში მუშახელი გარკვეული ქვოტით შევაო. ამ საკითხში არის თუ არა, წინსვლა?

— ორივე მთავრობა ინტენსიურად მუშაობს ამ თემაზე და იმედი გვაქვს, უკვე მალე მოხდება გარღვევა აღნიშნულ საკითხზე. ამასთან, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რომ საქართველოს ეკონომიკის მომავალი კეთილდღეობა დაკავშირებულია აქ, საქართველოში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან და არა იმდენად სამუშაო ძალის საზღვარგარეთ ექსპორტირებასთან. გარდა ამისა, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა რეცესიამ უმუშევრობა თავად ისრაელშიც გაზარდა. ამიტომ, ასეთ პერიოდში, ქვეყანაში უცხოეთიდან სამუშაო ძალის შემოყვანა არათუ მარტივი საქმეა, პირიქით.

ბ) ქართველი ქალბატონების ხელოვნური განაყოფიერების საკითხითა და დაბადებული ბავშვებით დაინტერესებული გახლავთ ისრაელის მხარე. საზოგადოებაში ეს საკითხიც გარკვეულ ინტერესს იწვევს. იქნებ, ამაზეც გვითხროთ?

— სუროგაციული ფეხმძიმობა ძალზედ სენსიტიური საკითხია რელიგიური, ეთიკური, სამართლებრივი და მორალური თვალსაზრისით. ისრაელი არის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც სამართლებრივად დაარეგულირა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დეტალური პროცედურები, რომლებიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფენ ყველა შესაბამისი მხარის ფსიქოლოგიურ, ემოციურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ასევე, საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები უკიდურესად პროფესიონალიზური და ეთიკურია სუროგატი დედისათვის უფლებებისა და ჯანმრთელობის გარანტიებთან მიმართებაში.



სტუმრად ბიძინა ივანიშვილთან

ვფიქრობ, ამ პროცესთან დაკავშირებული კრიტიკის გარკვეული ნაწილი გამომწვეულია შესაბამისი ბიოლოგიური პროცესების არასრული ცოდნით.

საქართველოსა და ისრაელს შორის არსებული კეთილი, პარტნიორული ურთიერთობა საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ საკმარისია ისრაელელმა მესაზღვრეებმა ისრაელის ტერიტორიაზე არ შეუშვან რამდენიმე ქართველი „ტურისტები“, საზოგადოებრივ ქსელში ერთობ ნეგატიური გამოძახილია. ამ ორიოდ წლის

გეთანხმებით. მე ინტერვიუებში ხშირად მისვამენ ამ კითხვას და ყოველთვის ვცდილობ ავხსნა ამ სამსუხარო ვითარებასთან დაკავშირებული მიზეზები. თუმცა, არ არის ადვილი საზოგადოების სწორედ იმ ნაწილს მიაწვდინო ხმა, ვინც ეს ყველაზე მეტად მოქმედებს. ამასთან, ეს პრობლემა არ დგას მხოლოდ ისრაელთან. სამსუხაროდ, საქართველოს მოქალაქეებს სირთულეები აქვთ საზღვარზე იმ ევროპულ ქვეყნებთანაც, რომლებთანაც საქართველო უფიზო მიმოსვლით სარგებლობს.

— ისრაელში თუ გქონიათ ურთიერთობა ქართველ ებრაელებთან და თუ გქონიათ, რას იტყვით მასზე?



სტუმრად ყურნალისტებთან

წინათ მე მომიწია პრესაში გამოსვლა და იმაზე საუბარი, თუ რით ვახლავთ განპირობებული ისრაელელ მესაზღვრეთა ასეთი სიმკაცრე (მიუხედავად ამისა, როგორც ამბობენ, დღეს ისრაელში 40 ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქეა დასაქმებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოში 40 ათას ოჯახს აქვს ცხოვრების ნორმალური პირობები). მე მაშინ გამოვთქვი სურვილი და დღესაც ამ აზრისა ვახლავართ: ისრაელის საელჩომ აწარმოოს აქტიური მუშაობა, რათა საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ცნობილი იყოს, თუ რით არის განპირობებული სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ამგვარი პოზიცია.

ისრაელის მოსახლეობის უმეტესობა საკუთარ თავს ალიქვამს ისრაელელად (განსაკუთრებით თუ იქ დაიბადნენ) და აღარ ახდენენ თავისი თავის იდენტიფიცირებას მათი ოჯახების (ნარმომავალი) ქვეყნის კუთვნილების მიხედვით. მაგალითად, მე ჩემს თავს ალიქვამ ისრაელელად და არა უნგრულ-რუმინელ ებრაელად (სადაც ჩემი მშობლები დაიბადნენ). თუმცა, რა თქმა უნდა, ალფროთოვანებული ვარ იმ ისრაელელებით, რომლებიც წარმოშობით საქართველოდან

არიან. მათ შორის არიან, ისინი ვინც წარმატებას კულტურასა და ხელოვნებაში მიაღწიეს, მაგალითად რეჟისორი დობერ ქოსაშვილი, მსახიობი და გართობის ინდუსტრიის წარმომადგენელი რიკვა მიხაელი, კომპოზიტორი იოსებ ბარდანაშვილი და მხატვარი მეირ ფიჩხაძე

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისრაელში შეიქმნა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა. ეს საგაზეთო ფეიკიუსია, თუ ჭეშმარიტება?

— ისრაელი არის ერთ-ერთი მონივრულ ქვეყანა COVID-19-ის ვაქცინის შექმნის მიმართულებით. უკვე არსებობს რამდენიმე საკვანძო კვლ-



გაზეთ „მენორას“ რედაქცია და მისი მრავალრიცხოვანი მკითხველი ბ-ნ რან გიდორს და მის მეუღლეს — ინა ლაზარევას გულითადად ულოცავს ორიოდ დღის წინ „თბილისელი გოგონას“ დაბადებას.

ევა: MigVax - არის სტარტაპი, რომელიც შეიქმნა The Migal Galilee კვლევითი ინსტიტუტის მიერ ქ. კირიათ-შმონაში, რომელიც ამასთან არის ისრაელის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტროს კვლევისა და განვითარების რეგიონალური ცენტრი. ბოლო 4 წლის მანძილზე Migal-მა შექმნა ვაქცინა კორონავირუსის სახეობისათვის, რომელიც ემართებათ ქათმებს. მისი ეფექტურობა და უსაფრთხოება დადასტურდა ისრაელის ვეტერინარულ ინსტიტუტში ცხოველებზე შესაბამისი ცდებით. MigVax-ი ამჟამად ახდენს ამ მეთოდის გადმოტანას შინაური ცხოველების პროგრამიდან, რათა შექმნას COVID-19-ის ვაქცინა ადამიანებისათვის. 22 აპრილს, Our Crowd-მა (ერთ-ერთი უმსხვილესი ვენჩერული ინვესტირების პლატფორმა იერუსალიმში) MigVax-ი 12 მილიონი დოლარით დააფინანსა. ისრაელის ბიოლოგიური კვლევის ინსტიტუტმა (IIBR — თავდაცვის სამინისტროს ლაბორატორია ნეს ციონში), წარმატებით დაასრულა ვაქცინის ცდები მღრღნელებზე. ახლა აღნიშნულ ვაქცინას გამოცდიან სხვა ცხოველებზე და წარმატების შემთხვევაში, დაიწყება ცდები ადამიანზე. IIBR-ის ინსტიტუტი ასევე მუშაობს სამკურნალო პრეპარატზე ანტიბიოტიკების გამოყენებით, რომელიც გამოჯანმრთლებული პაციენტების პლაზმით მიიღება. სამკურნალო პრეპარატის მიღებას უფრო ადრე ელოდებიან, ვიდრე ვაქცინას.

— უკვე მეხუთე თვეა საქართველოში იმყოფებით და რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართულ კულტურასაც ეცნობით. რას იტყობთ მასზე?

— ქართველი მწერლები, პოეტები, მუსიკოსები და არტისტები ისტორიულად განთქმულნი არიან და მოიაზრებიან საუკეთესოა შორის - და არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიო მასშტაბით. მე გამიმართლა შევხვედროდი ლეგენდარულ ხელოვანებს გია ყანჩელს, ასევე პაატა ბურჭულაძეს. მე ასევე ალექსანდრე კონრსანტიას და ხატია ბუნიათაშვილის დიდი თავყვანისმცემელი ვარ. ორივე მათგანმა მოიპოვა პრიზები ისრაელში. ასევე, სწორედ თბილისში წამოსვლის წინ, მქონდა შესანიშნავი შესაძლებლობა დავსწრებოდი ლიზა ბათიაშვილის კონცერტს ისრაელის ფილარმონიულ ორკესტრთან ერთად. ამასთან, ახლა უკვე ვცდილობ უფრო კარგად გავიცნო არტისტებისა და მწერლების ახალგაზრდა თაობა და მეტი გავიგო მათი შთაგონების წყაროების შესახებ. ბევრი მათგანი, ისევე როგორც ახალგაზრდა არტისტები მთელი მსოფლიოდან, დაინტერესებული არიან სოციალური საკითხებით. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ვხედავდე არა მხოლოდ წარსულში, საქართველოს „ოქროს პერიოდში“ არსებულ კულტურას, არამედ ვიყურო მომავლისკენ და ხელი შევეწყო თანამშრომლობას ჩვენს საელჩოსა და ქართველ შემოქმედთა შემდგომ თაობას შორის.

— გმადლობთ შინაარსიანი, საინტერესო საუბრისათვის.

რედაქცია მადლობას მოახსენებს საქართველოში ისრაელის საელჩოს პრეს-ატაშეს რუსუდან ბუაჩიძეს განუვლი დახმარებისათვის.

ისრაელის საელჩოს განცხადება

„ისრაელის საელჩო საქართველოში მოხარულია გაცნობოთ, რომ უახლოეს მომავალში ისრაელ-საქართველოს სავაჭრო პალატა თელ-ავივსა და თბილისში ამოქმედდება. მიმდინარე კვირის დასაწყისში სავაჭრო პალატამ მიიღო ოფიციალური თანხმობა ისრაელის სავაჭრო საქმეთა და ეკონომიკის სამინისტროებიდან და დაასრულა ისრაელის სავაჭრო პალატების ფედერაციის (FICC - Federation of Israeli Chambers of Commerce) მიერ მოთხოვნილი აკრედიტაციის ყველა აუცილებელი პროცედურა. სავაჭრო პალატის დაარსებას მიესალმება ასევე საქართველოს სავაჭრო საქმეთა სამინისტრო.

სავაჭრო პალატის დირექტორთა საბჭოს პალატის პრეზიდენტი ბ-ნი მენი ბენიში (Mr. Meni Benish) უხელმძღვანელებს, ხოლო საბჭოს შემადგენლობაში ისრაელის ბიზნესის, საინვესტიციო და საბანკო სფეროებისა და პოლიტიკური წრეების 20 გამორჩეული წარმომადგენელი შევა.

სავაჭრო პალატა ორივე ქვეყნის კომპანიებს, ინვესტორებსა და მენარმეებს შესთავაზებს ყველა იმ პროფესიულ მომსახურებასა და რჩევას, რაც ხელს შეუწყობს მათ ბიზნესს, სავაჭრო და საინვესტიციო საქმიანობას.

ისრაელის საელჩოსთვის საამაყოა ისრაელ-საქართველოს სავაჭრო პალატასთან თანამშრომლობის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას.“

ფ ე თ ხ ა ი ნ ი ს თ ა ო ბ ა ზ ე

ბ უ რ ა მ ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი

ისეთი პირი უჩანს, ქართული იერუსალიმი — ფეთხანი — საქართველოს ებრაელობის დედაქალაქად მიიჩნეოდა. რასაკვირველია, ფეთხანის დედაქალაქობა ერთობ პირობითად ეთქმის: იმ წლებში, როცა ფეთხანი ფეთხანობდა, საქართველოს დასავლეთში მცხოვრები ებრაელები, თბილისს კანტი-კუნტად სტუმრობდნენ. არა მხოლოდ ებრაელები, საქართველოს სხვა შვილებიც. თბილისი, ფეთხანი, აღმოსავლეთ საქართველოსა და ახალციხის ებრაელთა სამოქმედო არე გახლდათ. ამ უბანს აგერ, კოტე აფხაზის ქუჩის შუა წელიდან, მეტეხის ხიდამდე ფეთხანი — ბეთ ხანი — სიცოცხლის სახლი — ერქვა. მის ქუჩა-შუკებში უმეტესწილად ებრაელი ხელოსნები, ხელზე მოვაჭრები, მდიდარ ვაჭართა, თუ გამდიდრების იმედით ფეთხანის ქუჩა-შუკებს მოედებული ღარიბ-ღატაკი იუდეველები ახმინებდნენ. უბანი ხალისით, სიცოცხლით სავსე გახლდათ, რადგან ადამიანებს ჰქონდათ სწრაფვა, მიზანი და მის მისაღწევად ოფის უშარველად ღვრიდნენ.

ასე რომ ფეთხანი, მართლაც, სიცოცხლის სახლი იყო. სიცოცხლე კი გარჯის, მოძრაობის, იმედით ცხოვრებისა, თუ უსასობით სასონარკვეთის, დღემოდამ ბრძოლის გარეშე არ არსებობს. როგორც ჩანს, ფეთხანის თავისებურება ყოფამ — მოსეს მცნებებით ცხოვრებამ, ლუკამაჟურისთვის ქუჩაში გასვლამ, ალბ-მიცემობამ, დიასპორის ებრაელობისათვის დამახასიათებელმა საცხოვრებელ გარემოსთან ადაპტაციის პარალელურად რელიგიური თავისთავადობის შენარჩუნებამ, ადამიანთა სულებში იმდენად ღრმა კვალი გაავლო, რომ ჩამოყალიბდა კი ერთიანი — ქართული მენტალიტეტის მატარებელი, მაგრამ მაინც თავისებური — ფეთხანური ხასიათი. ასეთი თავისებურებანი, ალბათ, ყოველი განსხვავებული რელიგიურ-მენტალური ინტერესებით მცხოვრები ადამიანების გარემოს ახასიათებს. ამ უბანმა ქართულ მწერლობაშიც გაიხმინა ისევე, როგორც ისააკ ბაბელის ოდესურმა მოთხრობებმა და მისმა გიმრმა ბენია კრიკმა რუსულ მწერლობაში. ამ გეოგრაფიული გარემოს შვილთა ყოფა, ამ უბანში მცხოვრები ადამიანების ბუნების — ქცევათა მობივაციის მხატვრული კვლევა ქართულ მწერლობაშიც გამოვლინდა — მხედველობაში მაქვს, გერცელ ბაზოვის რომანი „ფეთხანი“. მეგონა, ეს თემა ქართულ მწერლობაში ამ ნაწარმებით ამოიწურა, მაგრამ გამოხდა ხანი და თანდათან გამოიწერა სხვა ნაწარმებებშიც, რომელთა პერსონაჟების მოქმედების არეალი სწორედ ფეთხანია: 1998 წლის დასასრულს აშშ-ში ერთვინანი სტუმრობისას, ნოდარ ჯინმა მარჯუა თავისი რუსულ ენაზე დაწერილი ახლადგამოსული რომანი „История моего самосудства“, მოგვიანებით კი გამოვიდა არონ კრიხელის „ნარსულის ფურცლები“


ნოდარ ჯინი ვინ იყო? ნოდარ ჯინჯინაშვილი. დაიბადა თბილისში, სწორედ ფეთხანში. სახლს, რომელშიც ცხოვრობდა, დღესაც გულდაწყვეტილი ვუვლი გვერდს. მამა პროკურატურის მუშაკი გახლდათ, ბაბუა — მეორე ჯინჯინაშვილი, ცნობილი რაბინი (ალბათ, ამანაც განაპირობა: ზედმიწევნით იცოდა თალმუდი, ძველი აღთქმა, ებრაული კლასიკური მემკვიდრეობა. მისი და ნისან ბაბალიკაშვილისებრი მცოდნე ებრაული ინტელექტუალური მემკვიდრეობისა, ჩვენსა და მომდევნო თაობებში არც მეგულდება). ნოდარმა სკოლა და უმაღლესი სასწავლებელიც — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აქ დაამთავრა, აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ფილოსოფიურ მეცნიერებაში. კინობელოვნება იტაცებდა და ამ თემაზე მისი სტატიები ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში.“ სადოქტორო დისერტაცია აქვე წარადგინა, მაგრამ თავი იჩინა, უცხო, მიუღებელმა გარემოებებმა — შეიქმნა რიგი პრობლემებისა, რაც ამ უაღრესად ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდისათვის, ეროვნული დისკრიმინაციის მაუწყე გახდა. ჭაბუკი იყო, განათლებული და პროფესიაში ღრმად მწვდომი — ინტრიგებში გახვევისათვის, მძლავრთა წინაშე დაქუცისათვის არც დრო ემეტებოდა, არც — თავი. დაპყრა ფეხი და მოსკოვს მიაშურა, იქ დისერტაცია წარმატებით დაიცვა და... ჩემთვის ეს ყველაფერი ფრიად არასასიამოვნო მოგონებაა: მესხიერებას შემორჩა ერთი საღამო: ნოდარი და მე ფილარმონის საკონცერტო დარბაზის აივანზე ვდგევართ. იგი მიაშობს, თუ როგორ ებრაოდნენ, რომ დისერტაცია „ჩაეგდოთ“. ამ გაუაზრებელი ქმედებით დაეკარგეთ და მოსკოვს, რუსულ მწერლობას ვუფუქაშეთ საყურადღებო მეცნიერი და მწერალი. ნოდარი საბჭოთა კავშირში ყველაზე ახალგაზრდა პროფესორად მიიჩნეოდა. ასე იყო წლები განმავლობაში. მერე საბჭოთა კავშირს გაეცალა, ამერიკაში გადასახლდა და ალბათ, ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი სხვა გახდა. მოგვიანებით, 2001 წელს ისრაელში შევხვდი,

მაშინ როდესაც ცნობილი ბიზნესმენი და ფილანტროფი მიხო მირილაშვილი საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესს აყალიბებდა. თელ-ავივში კონგრესის პრეზენტაცია ჩატარდა. ნოდარი ლონდონიდან ჩამოფრინდა. იმჟამად იქ, რომელიღაც უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. თელ-ავივში რამდენიმე დღე ერთად ვიყავით. სიჭაბუკის წლებს, თბილისს იგონებდა. საქართველოს ებრაელთა კონგრესის პრეზენტაცია თელ-ავივის სასტუმრო „დევინი — ინტერკონტინენტალი“ ჩატარდა. მომიხილა აქ წარმოთქმულმა ნოდარის სიტყვამ: ისაუბრა ადამიანის ნებაზე, ებრაულ სულიერებაზე, იმაზე, თუ რა საფუძვლები გააჩნდა კონგრესის შექმნას, რა პრობლემების დაშლამ უნდა ეთავა მას.

მომდევნო დღეს მიხო მირილაშვილმა იაფოში — იმდროინდელი თელ-ავივის, ყველაზე მოდურ რესტორანში პურობა გამართა. სუფრას კარგა ხანს შევრჩით. რადგან საინტერესო დიალოგი გამოგვივიდა ცისქვეშეთში ადამიანის რაობასა და ფუნქციაზე. ნოდარის სადღეგრძელო დამამახსოვრდა. სიტყვა უფრო იყო, ვიდრე სადღეგრძელო, იმ დღეს კიდევ ერთხელ ვინმეზე თეზა ქართული სუფრა აკადემიაო.

მომდევნო წელს ნოდარი გარდაიცვალა — სულ რაღაც 55 წლისა.

„ჩემი თვითმკვლელობის ამბავი“ არ არის რომანი ფეთხანზე. ნაწარმოების გეოგრაფიული არეალი ძალიან ფართოა: თბილისი, ჩრდილოეთ კავკასია, რუსეთი, ნიუ-იორკი, თვითმფრინავის სალონი, მაგრამ ფეთხანს, მის ქუჩა-შუკებში აღზრდილ და პიროვნულად ჩამოყალიბებულ ადამიანებს რომანის ქარგაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. ამ ნაწარმოებში ყოფიერების მნიშვნელოვანი — ზინების, სიკვდილ-სიცოცხლის, ახალ გარემოსთან ადაპტაციის, ფალატის საკითხები წინ წამოწეული. ნოდარ ჯინი ფილოსოფოსის თვალთახედვით განიხილავს ყოფიერების ამათუიმ საკითხს. მიზნად



ნოდარ ჯინი - ჯინჯინაშვილი

არც ჰქონია შეექმნა ფეთხანის კოლორიტული სურათები. თუ ალლო არ მლაღატობს, წინააღმდეგეც გახლდათ კოლორიტულობით აქცენტით, კილოკავით, ინტონაციით პერსონაჟებისა, თუ სიტუაციის ხატვისა. უფრო სხვა — ზემოთხსენებული საკითხები აინტერესებდა. ამგვარად — სიტუაციებით, ამათუიმ ლოკაციამ გამოვლენილი ქმედებებით შექმნა ფეთხანის მცხოვრებთა მხატვრული სახეები. ისტორიული რეალობაც ახახა. ამ მოსაზრების დასტურად სსრ კავშირის ებრაელობის შუა აზიში გადასახლების სტალინური გეგმის ეპიზოდებს ვავისენებდი. „ჩემი თვითმკვლელობის ამბავის“ ეს ეპიზოდები გვარნმუნებს, თუ როდენი მასშტაბის მწერალი გახლდათ.

დიდებულად არის აღწერილი 1953 წლის თებერვლის საქართველოს იერუსალიმის — ფეთხანის ყოფა: მუდამ მოხმაურე, აფორიაქებული, „ნახევარი დღე იმ ამქენაზური, თუ სეფარადული სინაგოგი, ასობით სავაჭრო დუქანით, სახელოსნოებით“, მართალია, დაღლილი, მაგრამ მაინც მფეთქავი გული თბილისისა — ფეთხანის. და აი, ფეთხანის ქუჩებში ჩეჩენი ცხენოსანი სამხედროების გამოჩენამ მისევ შეცვალა უბნის ცხოვრების რიტმიც, სახეცა და ინტონაცია — ჩეჩენ სამხედრო ცხენოსნებს ებრაელთა გადასახლების ტაქნიკური მხარის შესრულება ევალებოდათ — განრიგი შეედგინათ: ყოველ ოჯახს გამოცხადებული ჰქონდა, თუ როდის, სად, რომელ საათზე უნდა ეხვედნენ მისვლა თავისი ბარგბარხანით, რათა „საცხოვრებელი ადგილი ეცვალა.“ ჩეჩენ სამხედრო ცხენოსნებს კი მათი „უშიშროების დაცვა“, პატრულირება ევალებოდათ. ასეთი რამ მხოლოდ სტალინის ეპოქას ძალუქდა; აგერ, სულ რაღაც ათი დღე წლის წინათ სტალინის მიერ მშობლიური ხეობებიდან აყრილი ჩეჩენები, ახლა იმისთვის მოედვენ ფეთხანის ქუჩა-შუკებს, რომ ებრაელები გადასახლდნენ. თავად მშობლიური მთებიდან აყრილნი, ლტოლვილნი დღეს სხვათა უმინა-წყლოდ ყოფნას

პატრულირებენ. და... ფეთხანის გაირინდა. დღისით ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ღამე იდგა. ცხოვრება უხმოდ გრძელდებოდა. ადამიანები ჩურჩულით საუბრობდნენ. ისე დადიოდნენ, თითქოს თქის ფხსაცმელები ეცვათ. და ავტორისეული სენსიტივია: არარსებობის სამყაროში არაფერი არ არის, გარდა არარსებობისა.

რამდენადაც შემზარავია ნოდარ ჯინის მიერ აღწერილი იმ დღეების დაზაფრული, მიყურებული, გალურსული ფეთხანის სურათები, იმდენად ცხადად ვლინდება ამ სურათების შემქმნელის შემოქმედებითი ოსტატობა.

მე მახსოვს ის დღეები: მამამ სახლში ორი დიდი ყუთი მოიტანა უნდა გადაგვასახლონო. მახსოვს, ერთ-ერთ ყუთში როგორ ვტივტივოდი ლოგინს. გვენადა მეტი და მეტი ჩატეულიყო. ეს ყუთები რამდენიმე დღე იდგა ჩვენს ეზოში.

წაჯინს დიდებულად აქვს აღწერილი სტალინური გეგმის ფინალური სურათი. კარი გაიჭრიალეს და სახლში შემოდის სინაგოგის დათოვლილი მსახური — შამაში „იოსკა-სქელი“, მორიდებულად მიმოიხედავს და ოთხ სიტყვას იტყვის: „ჰო... ისა...სტალინი მოკვდა!“ შამაშის მიერ ნათქვამი „სტალინი მოკვდა“ ნიშნავს „გადავერჩით, ჩვენ აღარ გადაგვასახლებენ.“ მართლაც, მომდევნო დღეს ჩეჩენი ცხენოსნები ფეთხანიდან გავიდნენ და უბანს სიცოცხლის უნარი დაუბრუნდა.

მოგვიანებით კი, აგერ, მეოცე საუკუნის დასასრულს საქართველოს პრეზიდენტის თანამემნე ჟურნალისტი და პროზაიკოსი ვლადიმერ ალფენიძე შემახებდა: „შენ იცი სტალინი რამ მოჰკლა?!“ ცხადია, არ ვიცოდი, საიდან უნდა მცოდნოდა. ვალოდია კი გულდასმით მიაშობდა იმაზე 1953 წლის მარტის პირველ-სავე დღეებში გენერალისიმუსმა ი.ბ. სტალინმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე როგორ დასვა საკითხი სსრკ ებრაელობის საცხოვრებელი ადგილებიდან აყრისა და შუა აზიის ტრამა-ლინიზაციაზე და მათავრდა, მაგრამ ი. სტალინმა ბიუროს სხდომის ოქმს ხელი ველარ მოანერა — მეორე დღეს გონებადაკარგული ბელადი საქინებელ ოთახში იატაკზე დაგდებული იპოვეს.

— ასე რომ, სკოლას სენაკში კი არ დაამთავრებდი, შუა აზიაში — მეუბნება ვალოდია მისი ინფორმირებულიობითა და მოსმენილით ღამის გაოგნებულს.

მოგვიანებით ნოდარ ჯინის ხსენებულმა რომანმა და სხვა ისტორიული დოკუმენტების გამოშუქებებამ დამიდასტურა ვლ. ალფენიძის ნათამობი.

გაბრიელ მარკესის რომანმა „მარტოობის ასი წელი“ მთელი მსოფლიოს პროზაზე მოახდინა ზეგავლენა. ამ გავლენისაგან არც „ჩემი თვითმკვლელობის ამბავი“ დაზღვეული, მაგრამ ჩემთვის ეს რომანი მნიშვნელოვანი და საინტერესოა არა იმით, რომ მის გვერდებზე დროდარო მარკესის პროფილი იკვეთება, არამედ იმ ლიტერატურული რეალობით, რომელიც ავტორმა შექმნა — ფეთხანის ბინადართა კონსტრუირებული ცხოვრებით. ერთი შეხედვით, შესაძლოა შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ რომანში მთავარი მაინც ამერიკის ცათამბჯენებს შუა მოქცეული სტრიტების — ქუჩის აბურდულ-დაბურდული ცხოვრებაა ასახული, როცა მთავარ პერსონაჟს ამ უმდიდრეს ქვეყანაში ათი დოლარის შოვნისათვის უამრავი ფათერაკის გადალახვა ამაოდ უნევს, მაგრამ ეს სიუჟეტური ხაზი, მთლიანად ნათელი ელიგულოვის დაკრძალვის პასაჟები, არა იმდენად აშშ ყოფის კრიტიკას, ყოფიერების ამოების ჩვენებას ისახავს მიზნად.

დახს, ამაოა წუთისოფელი და ამდენად ამაოა ის გარჯა-წვალება, რომელსაც ამერიკის ქუჩა ეწევა. ეს ამაოება კი განსაკუთრებით გამოიკვეთება აშშ-ში ახლადწასული ადამიანების ყოფაში წვედომით და ამ ყოფას ავტორი თვალნათლივ გვიხატავს. რომანი ემიგრანტთა ყოფის ცალკეული, ერთმანეთთან თითქოს დაუკავშირებელი, დამოუკიდებელი, განცალკევებული ეპიზოდებისაგან შესდგება, ეს მოზაიკა ქმნის აყრილი — ახალი დასაყრდენის მაძიებელი ადამიანების ცხოვრების სურათებს. ამ სურათების ხატვა-დალაგებას ის ადამიანი წარმართავს, რომელმაც ბევრი იფიქრა ყველაფერ ამაზე. ეს სურათები, რომ დიდი ფიქრის შემდეგ გახლავთ შექმნილი — ნათელი ელიგულოვის დაკრძალვის, უფრო სწორად, პიკაპში მოქცეული ნათელას გვაგმთან ერთად ნიუ-იორკის უბნების — ქვინსს, მანჰეტენსა და ისევ ქვინსს შორის ნონიალში, ჯახირში გამოჩნდა. აქ რელიეფურად იკვეთება ნოდარ ჯინის, როგორც ცხოვრების რაობის (ამაოების) შემფასებლის, პროზაიკოსის ოსტატობა. ამერიკაც დაჯინახე — ამერიკა მხოლოდ ნათელი ოფისები არ არის, არც მხოლოდ ფერმერთა ყოფა, ამერიკას ქუჩის ყოფაც ახასიათებს და მძიმე, რთული, ბიუროკრატიაც.

კარგია ეს ყოფა, თუ ცუდი? დადებითიც და უარყოფითიც, მისაღებიცაა და მიუღებელიც — ცხოვრება ადამიანებისა, რომლებიც გადარჩენისათვის იბრძვიან.

რომანის ჩარჩო: ნიუ-იორკის აეროპორტიდან, ლონდონის აეროპორტამდე. რომანის პერსონაჟები თავს იყრიან თვითმფრინავის სალონში. მათი ურთიერთობები ჯერ კიდევ მანამ იკვეთება, სანამ

თვითმფრინავი ნიუ-იორკის ჰაერში აიჭრებოდა და ლონდონისაკენ გაემართებოდა. ავტორს დრო-დადრო თვითმფრინავის სალონიდან გავეყვართ. სალონი თავმოყრილი პერსონაჟები ასეთივე და-კავშირებული გახლავან ფეთხანთან, ან ხვალ-ზეგ დაუკავშირდებიან. თვითმფრინავის სალონიდან არა მხოლოდ ფეთხანში ვინაცვლებთ, შუა აზიის ქალაქებშიც, სადაც პერსონაჟი ებრაელთა ყოფას ეცნობა და მის ფოტოგრაფირებასაც ეწევა. თვითმ-ფრინავის სალონიდან ევროპისა, თუ აშშ ქალაქებშიც გავედივართ, უმეტესწილად იქ, სადაც თავად ნოდარ ჯინჯიხაშვილს დაუდგამს ფეხი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ რომანი ავტობიოგრაფიულ ხასიათისაც ატარებს. მასში კარგად ჩანს ნოდარ ჯინჯი, როგორც ფილოსოფოსი. აქ უხვად წააწყდებით ავტორესეულ ფილოსოფიურ სენტენციებს, რაც განსაკუთრებით მოჩანს ცალკეული თავების ქვესათაურებში. ეს კი რომანისადმი ინტერესსა, თუ მისადმი ნდობას, განა-პირობებს.

ნოდარ ჯინჯი ასევე გახლავთ ავტორი რომანისა „Учитель“, რომელიც იოსებ სტალინის რელიგიურ ინ-ტერესებს წარმოაჩენს.

ჩვენს ლიტერატურულ წრეებში კარგად იც-ნობდნენ მთარგმნელ ნოდარ ხუნდაძეს — გაგრი-დან ლტოლვილ ღირსეულ პიროვნებას, რომელმაც არაერთი საყურადღებო ნაწარმოები თარგმნა ქა-რთულ ენაზე. გასული საუკუნის დასასრულს ბ-ნი ნოდარ ხუნდაძე ნოდარ ჯინჯის შემოქმედებით დაინ-ტერესდა და გადაწყვიტა ეთარგმნა კიდევ მისი ზე-მოთხსენებელი ორი ნაწარმოები. ბ-ნმა ნ.ხუნდაძემ ქართული გამოცემისათვის წინასიტყვაობა მიხოვა. მისი თხოვნა სიამოვნებით შევასრულე- და ამ საუ-კუნის გარიჟრაჟზე ნოდარ ხუნდაძისეული თარგ-მანები გამოიცა კიდევ. მეც მისასხოვრა, როგორც წინასიტყვაობის ავტორს, მე კი ისე მენადა, ნოდარის ოჯახს — მეუღლესა და ქალიშვილს — იანა ჯინს, რომელიც ჩინებული პოეტია (ლექსების წიგნი იოსებ ბროდსკის წინასიტყვაობით გამოიცა), ის ეგ ზემპლი-არი ოჯახს გაუფრხავნე, დღეს კი ამაოდ დავეძებ ნო-დარ ჯინჯის ნაწარმოებების ქართულ თარგმანს.

2.

ნიუ-იორკში გამოდის ებრაული თემატიკის გაზე-თი „დავითის ფარი“ ამ გაზეთის რედაქტორი გახლავთ თბილისიდან ამ სამი ათეული წლის წინადა წასული სი-მონ კრიხელი ადამიანი, რომელმაც კარგად იცის (და უყვარს!) თბილისი, თბილისური ყოფა და ხასიათი. ამ პიროვნების მიმართ გაცნობის დღიდან დადებითად განვეწყე — პატიოსან, მართალ ადამიანად მესახება. ამიტომ ნიუ-იორკში ყოფნისას, უსათუოდ ვსტუმ-რობ. ერთ-ერთ საუბარში სიმონმა აღნიშნა, რომ მისი ანგარდაცვლილი მამა — არონ კრიხელი (1915-1964 წლები) საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნო-გრაფიული სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი გახლდათ, დაბა-ქალაქებში დადიოდა და ინერდა ებრაული ფოლკლორის ნიმუშებს, პროზასაც წერდა და ახლახან მისი ვრცელი, საინტერესო მოთხრობა „წარსულის სურათები“ აღმოვაჩინეთო.

ამ ბოლო ხანს საქართველოს სამეცნიერო და შემოქმედებით ორგანიზაციებში არცთუ სასახლო საქმიანობამ იჩინა თავი: აქაოდა, ხალხთა შორის ურთიერთობას, სახალხო დიპლომატიას ვანვითა-რებთო და, ოღონდ ისრაელში კეთილი, გულისყური-ანი მასპინძელი იპოვნონ, ისეთ ადამიანებს ანიჭებენ საპატიო სამეცნიერო წოდებებსა, თუ შემოქმედებ-ითი კავშირების „ღრამოტებს“ და ამით ისეთ ადამი-ანებს წარმოსახავენ ერის სამეცნიერო, თუ შემოქ-მედებითი ცხოვრების სახედ, თმა ყალყზე დაგვიდგება. იმას კი არაფრად დაგვიდევენ, ამ უგუნური ქმედებით თანდათან რომ ვფორმდებით ამ ქვეყნის ჭეშმარიტად სამეცნიერო, ჭეშმარიტად შემოქმედებით ინსტი-ტუციებს და ვაუბრალვობთ, თუ ძირს არ ვცემთ, ქართული ორგანიზაციების რენომეს (გვერდს ვერ აუფული ისრაელში საქართველოს საელჩოს, მისი თანამშრომლის — მანანა დუმბაძის დიდ ძალისხმე-ვას უშუალო კონტაქტი ისრაელის ნამდვილ შემო-ქმედებით სახეებთან დაამყაროს) იმის გამო, რომ ამ პროცესისგან დისტანცირებას ვცდილობ, სიმონ კრიხელთან საუბრის დროს, შემდეგი მიზეზის გამო, თავმეკავება ვარჩიე: მასკულტურა ყოველთვის კულ-ტურად ასაღებდა თავს და ზოგჯერ წარმატებითაც, მაგრამ ისეთ წარმატებას, როგორსაც მასკულტურამ კულტურასთან ჭიდილში დღეს მიღწია, არა ვგონებ, ოდესმე ღირსებოდა. ეს საყოველთაო ტენდენცია ქართველ ებრაელთა შორისაც საკმაოდ საგრძნობია. ამიტომ „წარსულის ფურცლები“ ამ პიროვნების — სიმონ კრიხელისადმი პატივისცემის გამო, მოგვი-ანებით წავიკითხე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ნაწარმოებს შორის „ დიდი მზღვარი“ — სხვადასხვა დონეზეა ფრა-ზის დახვეწილობა, სახეებით აზროვნების სისტემა, პერსონაჟთა, სიტუაციების ძერწვა, მაინც მნადია, ნოდარ ჯინჯის „ჩემი თვითმკვლელობის ამბავთან“ ერთად ვისაუბრო არონ კრიხელის „წარსულის ფურ-ცლებზე“ — ვისაუბრო იმაზე, სიცოცხლის ბოლო წლებში, თუ რაოდენ ღირსეული საქმე ქმნა არონ კრიხელმა. წავიკითხე „წარსულის ფურცლები“ და არა-რა ლიტერატურული სენსაციის შემსწრე, თუ მონაწილე არ ვაგმზდარვარ. თუმცა, ისიც აშკარა გახლდათ, რომ ნაწარმოები ყურადღებას იმსახურებ-

და — ზოგიერთმა პასაჟმა მომხიბლა კიდევ. განსა-კუთრებით ფეთხანის ყოფითმა სურათებმა. არონ კრიხელი კარგი მთხრობელია — გადმოსცემს არა მხო-ლოდ ამბავს, პერსონაჟთა ცხოვრების გზას, ხასია-თებს, რომელიც მათს ქცევათა ბუნებაში გახლავთ დაბუდებული და ყოველდღიურობაში ვლინდება. რა-ოდენი გულურყვილობითა და ხელოვნურობითაც არ უნდა ხასიათდებოდეს მემტრედე ზეხარას ისრაელში ცხოვრების ეპიზოდები, პირველი ნაწილი, რომელშიც ფეთხანის და მის მოსახლეთა ყოველდღიურობაა აღ-წერილი, უშუალოდ ხასიათდება.

არონ კრიხელმა ფეთხანის სახეები გაგვიცოცხ-ლა. სწორედ ამ თვისების გამო ეს ნაწარმოები საქა-რთველოში გამომავალი ებრაული თემატიკის გაზეთ „მენორას“ სერიით ცალკე წიგნად გამოვეცით. გამო-ცემამდე ვფიქრობდი და დღესაც იმავე აზრისა ვარ, „წარსულის ფურცლები“ ფართო მკითხველამდე უნდა მისულიყო. ამ ფიქრს დღეს გულისტკეზაც დაე-მატა: წიგნი მოკრძალებული ტირაჟით გამოვიდა. ეს შეცდომა გახლდათ: ამ ნაწარმოებში წარმოჩე-ნილი ფეთხანელები და მათი ყოფა, დღეს თუნ-დაც ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, თუნდაც როგორც გარდასული დროის დოკუმენტი, საინტერესოა. ეს ხომ საქართველოს ყოფის შემად-გენელი ნაწილია. ისტორიულ-პოლიტიკურ გარემოე-ბათა გამო, დღეს ფეთხანი არა მხოლოდ აღარ არსე-ბობს, აღარც აღარავის ახსოვს. „სხვა ხალხის ისმის აქ ყრიაშული“ — დღევანდელი საქართველო, მისი ებრაელობა სრულიად სხვა განზომილებაშია, სხვა ინტერესებით ცხოვრობს. არონ კრიხელმა კი დაგვი-ტოვა ცოცხალი სურათები იმისა, თუ როგორ ცხოვ-რობდა, რით სულდგმულობდა, რა იყო ფეთხანელ-თა ყოფის მამოძრავებელი. ეს ყოფა თანამედროვე, ცივილური ქართველი ებრაელობისათვის შესაძლოა, არც თუ დიდი სიამოვნების მომგვეცოდ იყოს, მა-გრამ ემოციის რაობა მეორადია: მოგვწონს ჩვენ მე-19-მე-20 საუკუნეების შესაყარის ფეთხანელი ებრაელობის ყოფა თუ არა, ეს ჩვენი ისტორიაა და ისტორიიდან არასასიამოვნო ფურცლების ამოხ-ვევა, სიბეცეა. ამას კარგ შედეგამდე არ მივეყვართ. ეს ყოფა არც სულმნათ დავით ბააზოვს — ქართ-ველ ებრაელთა ილია ჭავჭავაძესა და მის შვილს — ცნობილ დრამატურგსა და პროზაიკოსს — გერცელ ბააზოვს მოსწონდათ. „წარსულის ფურცლებში“ აღ-წერილია დავით ბააზოვისა და მის მიმდევართა — ლიბერალური ფრთის წარმომადგენელთა, ბრძოლა ქართველი ებრაელობის ცხოვრების წესის შესაცვ-ლელად (არონ კრიხელი წარმოაჩენს 20-30-იანი წლებში დავით ბააზოვის ირგვლივ შემოკრებილ ახალ თაობას — ამ ეპოქის საკულტო სახელებს: გერცელ ჩაჩაშვილს, მიხეილ კაკიტიელს, დინა დავარაშ-ვილს, მორდეს მამისთვალვოს, ილია პაპისმედოვს, მორდეს დანიელაშვილსა და სხვებს, რომლებმაც მოგვიანებით თავისი სიტყვა თქვეს ქართული მეც-ნიერების, ტექნიკის სარბილზე). მხედველობაში მაქვს ეპიზოდები, რომლებშიც აღწერილია ებრაუ-ლი სკოლის დაარსებისათვის ბრძოლა, ეს ბრძოლა კი მოიცავს საქველმოქმედო სპექტაკლის დადგმის, გაზეთ „მკავეილის“ გამოცემისა, თუ ფინანსების მოზიდვის სურათებს. დავით, გერცელ ბააზოვისა და მათს მიმდევართა მიერ წამოწყებული ამ ბრძოლას ქართველ ებრაელთა ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება — მან აუცილებელყო დაქსა-სული თემის თუნდაც მცირე ნაწილის გაერთიანე-ბა ერთი მიზნისაკენ სწრაფვა. ახალ თაობას კი დინ-ამიში და სოლიდარობის სულიკვეთება შესძინა. ნათელი ხდება: ფეთხანის არა მხოლოდ წერილი ვაჭ-რები, ლაზარდარობას გადაგებული ახალგაზრდები ავსებდნენ, ერის ხვალისდელ დღეზე მოფიქრალნიც. ხოლო რაც შეეხება დავით ბააზოვის მიერ 1921 წლის 25 თებერვლის ბოლშევიკების თბილისში შემოსვლი-სას წარმოთქმულ სიტყვას, იგი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ვითვალისწინებ იმ გარემოებას, რომ ნაწარმოებში დომინირებს ბოლშევიკური პრო-პაგანდა და დავით ბააზოვის მიერ წარმოთქმული სიტყვის რესტავრაციას ახდენს ბოლშევიზმის ეპო-ქაში, მისი იდეოლოგიით გამოზრდილი ავტორი. ამი-ტომ მენშევიკური ხელისუფლებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება არ მიკვირს. ვიცით და გვახსოვს ქართული კულტურის მოღვაწეთა როგორც ნეგა-ტიური, ასევე დადებითი, აღფრთოვანების გამოხ-ატველი შეფასებანი ბოლშევიზმის საქართველოში მოსვლასთან დაკავშირებით, გვახსოვს კოლაუ ნადი-რაძის მიერ დახატული სულისშემკვრელი სურათიც და პაოლო იაშვილისა და ტიცვიან ტაბიძის მისაღმე-ბაც პასაჟებთანადმი. ამავე კონტექსტში აღვიქვამთ დავით ბააზოვის იმ სიტყვას, რომლითაც იგი ბოლშე-ვიზმს მიეგება. არონ კრიხელის ამ ნაწარმოების ერთ-ერთ ღირებულ მხარედ დავით ბააზოვის მიერ 25 თებერვალს წარმოთქმული სიტყვის რესტავრაციაც მიმაჩნია. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ არონ კრიხელი ზუსტად აღადგენს დავით ბააზოვის სიტყ-ვას. იგი, როგორც დავით ბააზოვის თანამედროვე და ებრაელთა მუზეუმის თანამშრომელი, გამომხ-ავდა ამ ტექსტის მეჯერეების საშუალებას. არც იმას გამოვირიცხავ, რომ მუზეუმი ორი მიზეზით იზრუნებ-და გამოსვლის ტექსტის შენახვაზე: დავით ბააზოვი ჩვენი ებრაელობის სერიოზული, მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ და მის გამოსვლას ისეთი გარდა-ტეხი მნიშვნელობის მქონე მოვლენაზე, როგორიც



არონ კრიხელი

საქართველოს გასაბჭოება იყო, თუნდაც კონიუნქ-ტურული მოსაზრების გამო, არ დატოვებდნენ უყუ-რადლებოდ.

ეს გამოსვლა საინტერესო გახლავთ, თუნდაც და-ვით ბააზოვის ბიოგრაფიის დეტალებიდან გამომდინ-არე — მას ჰქონდა მორალური უფლება მენშევიკური ხელისუფლების მიმართ ნეგატიური დამოკიდებ-ულებისა, მისი კრიტიკისაც. ამ ხელისუფლებამ ეს საქართველოს ებრაელობის თვითგამორკვევისათ-ვის მებრძოლი კაცი, აქტიური პიროვნება, უკანა პლანზე მოისროლა. ჩემი პატივისცემა 1919 წ. დამ-ფუძნებელი კრების — საქართველოს პარლამენტის წევრებად არჩეულ ებრაელებს — ერთ-ერთ მათგან-ზე — ქართული განძის დაცვაში ექვთიმე თაყაიშვი-ლის თანამოაზრე იოსებ ელიგულაშვილზე რომანიც — „ელიგულა და ხავა“ დავწერე, მაგრამ ფაქტია: იმ გამორჩეული ოთხი ებრაელიდან არცერთი არ გახ-ლდათ თავისი ხალხის ინტერესებისათვის დავით ბააზოვისებრ მებრძოლი და ასე ვგონებ, ხელისუ-ფლებამ სწორედ ამ თვისების გამო გადასწია უკანა პლანზე — თავი არ აიტკიცა, რადგან დავით ბააზოვი არ იქნებოდა ხმაგაკმედილი, ყველაფერზე ყაბულქმ-ნილი დეპუტატი. ვვარაუდობ, თავისი როლი ითამაშა იმ გარემოებაშიც, რომ დავით ბააზოვი ეწინააღმდე-გებოდა იმ წლებში გავრცელებულ და ნოე ყორდა-ნიას ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილ თეორიას ქართველი ებრაელობის წარმომავლობის თაობაზე — ქართველი ებრაელები არა მოსულნი, როგორც „ქართლის ცხოვრება“ იტყვის, „მუნით ოტებულნი“, არამედ ისეთივე ქართველები გახლავან, როგორც საქართველოს დანარჩენი მოსახლეობა, ეგ არის, იუდაიზმი აღიარეს, ისევე როგორც მაჰმადიანობა მიაღებინეს ქართველთა ერთ ნაწილსაო.

სიტყვა, გამოსვლა გამოსვლად, მაგრამ მნიშ-ვნელოვნად მიმაჩნია ნათან ელიაშვილის შენიშვნა:- „რაბი დავით, ჩემთვის გაუგებარია. ნუთუ, მართლა ხართ დარწმუნებული, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩვენს ერს თავისუფლებას და თვითგამორკვევის უფლებას მისცემს? ესენი ხომ ურწმუნოები არიან, ამათ არც ქრისტი, არც ღმერთი და არც არავითარი რწმენა არ გააჩნიათ, ნუთუ, ჩვენი ხალხის განაოლე-ბას და უმეცრების ჭაობიდან გამოყვანას ესენი იკის-რებენ? თვით არ გააჩნიათ არც განათლება, არც რწ-მენა და ამათ რა თავისუფლება უნდა მიანიჭონ ჩვენს ხალხს, როცა ქვეყანა ძალადობით ჩაიგდეს ხელში!“

„წარსულის ფურცლები“ 50-იანი წლების დასას-რულს გახლავთ დაწერილი. როგორც ჩანს, ავტორი პროფესიულ საიდუმლოებებს ეუფლებოდა. ეპიზო-დები, რომლებშიც აღწერილია ნათან ელიაშვილის მიერ ქართველ ებრაელ რეპატრიანტთა ისრაელში ჩაყვანა, მხატვრული სიმართლით ხასიათდება. ეს ისტორიული ფაქტია: დავით ბააზოვმა და ნათან ელიაშვილმა პალესტინაში დიდი ბრიტანეთის სა-მანდატო ხელისუფლებისაგან მიიღეს რეპატრი-ანტთა ისრაელში ჩაყვანის უფლება და 1925 წ. ნათან ელიაშვილმა ისრაელში ჩაიყვანა, რამდენადაც ვიცი, 25 თუ 30 ქართველი ებრაელის ოჯახი. შემზარავია ასანთის გარდაცვალების სცენა, ნათან ელიაშვილის სულიერი მდგომარეობა. ნაწარმოების ეს ეპიზო-დები ტრაგიზმის განცდას ბადებს და რაც მთავარია, ისტორიულ რეალობას გადმოსცემს — ფეთხანში აღზრდილი ადამიანებისათვის, დაჭაობებული მა-ლარისის წყაროდ ქცეული პალესტინა, მართლაც, შიშისმომგვრელი და შემოფოთებული სანახავი გახ-ლდათ. იგი ნალკოტად მას შემდეგ იქცა, რაც ებრა-ელობამ სახელმწიფოებრიობა აღიდგინა (1948წ.) და ისტორიული სამშობლოს სრული ბატონ-პატონი გახდა — დავით ბენ გურიონის მეთაურობით დაიწყო დაჭაობებული მხარის ნალკოტად გადაქცევისათ-ვის ბრძოლა, მაგრამ ამ დრომდე ჯერ კიდევ შორ-საა — არონ კრიხელის პერსონაჟებს — გუმინდელ ფეთხანელებს, წინ დიდი, ძალიან რთული, ტანჯვა-ვაებით სავსე გზა აქვთ გასავლელი.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ №9, 12 ივნისი. 2020

რას ვპიტიხ ულობთ ამ კვირაში? რაბინის კუთხე

მ ე ნ ო რ ა



აპარონ მდინარაქა

თორის წინა თავის - "ბეჰალოთეხა"- ბოლოში მოყვანილია მირიამის ისტორია-როდესაც ის თავის ძმაზე - მოშე რაბინზე, ლაშონ ჰარას ამბობს და ამისთვის დასაჯა ჰაშემმა-კეთრით.თორის კომენტატორი რაში წერს:

— ეს არ არის შემთხვევითი. ისრაელის მზვერავებს, რომლებსაც აგზავნიან მოშე რაბინზე ფარაშა „შელახ ლეხას“ დასაწყისში - უნდა ესწავლათ ეს გაკვეთილი — და არ ეთქვათ ლაშონ ჰარა ისრაელზე და მიხვედრილიყვნენ, რომ აუცილებლად დაისჯებოდნენ.

მაგრამ შეიძლება დაისჯას კითხვა - რატომ მაინც და მაინც ამ ისტორიიდან უნდა მიეღოთ მათ ეს გაკვეთილი, რომ არ შეიძლება ლაშონ ჰარას თქმა ერეც ისრაელზე?

როგორც ვიცით, ვინც მიდის დაზვერვაზე არიან წარმოჩენილი ადამიანები-ისრაელის სხვადასხვა შტოების ხელმძღვანელები, და არ ნახეს მათ ყველა საწაულები — რაც მოხდა ეგვიპტეში და იქიდან გამოსვლისას? რატომ უნდა ესწავლებინა მირიამის ისტორიას უფრო მეტი, ვიდრე მანას, სასწაულმოქმედ ღრუბლებს და ნაკადულს? ისინი ფიქრობდნენ, რომ აკეთებენ სიკეთეს, ამიტომ ყველაფერი დაშვებულია და შეიძლება ლაშონ ჰარას თქმა ისრაელზეც, ამიტომ მათ უნდა გაეკეთებინათ შესაბამისი დასკვნა მირიამის საქციელისგან. ეჭვგარეშეა, რომ მირიამს უნდოდა მხოლოდ სიკეთე თავის ძმისთვის, ამიტომ და აქედან

გამომდინარე, ლაშონ ჰარას თქმა აკრძალულია იმ შემთხვევაშიც, თუ ადამიანს აქვს ჩაფიქრებული საუკეთესო მიზანი.

ვერაფრით ვერ გამართლება ლაშონ ჰარა ისრაელის ერზე და ისრაელის მიწაზე და მოჰყვება მას ძლიერი სასჯელი ჰაშემისგან.

ამ შემთხვევაში მათ თავიდან თქვეს, რომ ეს არის მშვენიერი მიწა და იქ მოედინება რძე და თაფლი, ანუ თავიდან თქვეს კარგი და სიმართლე, რომ ხალხმა დაიჯეროს, როგორც იქცევა უმეტესი ტყუილის მთქმელი-თავიდან გვაჯერებს, რომ ის მხოლოდ სიმართლეს ამბობს. მერე კი დასძინეს: „მაგრამ ჩვენ მას ვერ დავიპყრობთ, რადგან იქ ცხოვრობენ გოლიათები და ეს მიწა შთანთქმის ხალხს, ამ მიწას არ მოაქვს ბედნიერება“ და ჩამოთვალეს კიდევ ბევრი მიზეზი-ცუდის მომასწავებელი, დაიწყეს ტირილი და მოთქმა, თქვეს რომ ჯობია უდაბნოში დავრჩეთო.

ამის გამო, ჰაშემმა მთელი ერი დასაჯა, ისინი კიდევ 40 წელი ცხოვრობდნენ უდაბნოში, თითქმის ყველა მამაკაცი 20-60 წლამდე გარდაიცვალა და ამის მერე 9 აბი, როდესაც ითქვა ეს ლაშონ ჰარა, გადაიქცა ჩვენი ისტორიის ყველაზე მძიმე დღედ ეს არის პირველი და მეორე ბეით ჰამიკდაშის დანგრევის და ბევრი სხვა უბედურების დღე. ამ დღეს - ებრაელი ერი შიმშილობს და გლოვობს. ასე იქნება მაშახის მობრძანებამდე-დააჩქაროს ჰაშემმა! მალე, ჩვენს დღეებში!

იცნობდეთ ამ დიდებულ პიროვნებას — ექიმ მაიკლ თავდის!

ნათქვამია: — „კარგი ექიმი, მარტო საუბრითაც უნდა არჩენდეს“-ო. ექიმი, რომელიც ხალხისთვის გადარჩენის ერთადერთი გზაა, მით უმეტეს სამშობლოდან შორს, უცხო ქვეყანაში მცხოვრებ უენო, უსაბუთო ემიგრანტისთვის... რამხელა იმედი და ხსნაა, როცა უკიდურესად გამოუვალ მდგომარეობაში, როცა ყველა გზა ჩაკეტილია: ქვეყნებს შორის მიმოსვლა, დაკეტილია სამედიცინო, თუ სასწავლო დაწესებულებები, მთელი მსოფლიო უძღურია ამ საშინელი ვირუსის კოვიდ-19 -ის წინაშე და საყოველთაო პანდემიაა, გამოჩნდება ექიმი რომელიც 24 საათიანი რეჟიმით ერთვება ხალხის სამსახურში... დიდი სიამაყით მინდა გაგაცნოთ, ნიუ-იორკში მცხოვრები და მოღვაწე ქართველი ექიმი თერაპევტი — ბატონი Michael Tavdy (მაიკლ თავდი) რომელმაც, როგორც კი შეიტყო ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო კოალიციის ბაზაზე დაარსებული „კრიზის ცენტრი ამერიკა“-ს შესახებ, (სადაც ფუნქციონირებს მოხალისე ექიმთა ბრიგადა, ფსიქოლოგების და „Viber“-ით მომსახურების მობილური ჯგუფები...) უყოყმანოდ ჩემოგვთავაზა დახმარება და როგორც ზემოთ აღვნიშნე, 24 საათიანი რეჟიმით ჩაება ემიგრანტების სიცოცხლის გადასარჩენად ბრძოლაში... ემიგრანტებს, რომლებსაც ამერიკის ლეგალური სტატუსის და სამედიცინო დაზღვევის უქონლობის გამო, საქართველოდან უგზავნიდნენ წამლებს და ამ პანდემიის გამო აღარ მიენოდებოდათ, რომლებიც ფაქტიურად სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იდგნენ, მიშა ექიმი

ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უტარებდა კონსულტაციებს, უწერდა რეცეპტებს და წამლებით ამარაგებდა... ყოველგვარი სიტყვა უძღურია იმ მადლიერების გამოსახატად, რაც ექიმ — მაიკლ თავდის და მისი მეუღლის ნონას მიმართ შეიძლება გამოითქვას...

„კრიზის ცენტრის“ და ჩვენთან არსებული 600 -მდე პაციენტის სახელით უღრმეს მადლობას მოგახსენებთ მიშა ექიმო... ქართველი ემიგრანტების ლოცვა-კურთხევა გაგყვებათ სიცოცხლის ბოლომდე სავალ გზაზე. თქვენ უდიდესი იმედი და ხსნა იყავით ჩვენი ემიგრანტებისა, რომელსაც არავინ, არასდროს არ დაგვიწყებენ.

PS. ბედნიერი ვარ რომ ასეთი გულიანი, უანგარო და უდიდესი პროფესიონალი ექიმი ჩემი და ჩემი ოჯახის პირადი ექიმი.

იცნობდეთ ამ დიდებულ პიროვნებას — ექიმ მაიკლ თავდის!



თეა კანდელაკი-ჩალიგავა

რედაქციისაგან: ქალბატონი თეა კანდელაკი-ჩალიგავას მოსაზრებას ჩვენი თანამემამულე მიხეილ თავდიდიშვილის (მაიკლ თავდის) პროფესიონალიზმსა და კეთილშობილებაზე ფეისბუქში უამრავი გამოხმაურება მოჰყვა. ადამიანები მადლოერებით მიმართავენ ექიმს. ეს გახლავთ ქართველი ებრაელობის ღირსება.

ნბრეპა, მხოლოდ ნბრეპა!

ლონდონში განლაგებულმა ებრაული კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ანგარიში იმის თაობაზე, ამათუიმ სახელმწიფოში, თუ როგორ არის დაცული ებრაული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ანგარიშში აღნიშნულია, რომ სირიაში ებრაული ძეგლების თითქმის ნახევარი განადგურებულია, ხოლო ერაყში ებრაული ძეგლების მეოთხედი — 297 ძეგლიდან 68 აღდგენას აღარ ექვემდებარება, სირიაში კი 71 ძეგლიდან 32 ისეა განადგურებული, ვერც მათ აღვადგენთო. არადა, ნაწილი ამ ძეგლებისა, ძალიან ძველია — ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულშია შექმნილი, უმეტესობა კი მე-19-მე-20 საუკუნეებისაა.

მიუხედავად ლონდონის ებრაული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ორგანიზაციის დიდი ძალისხმევისა, ბევრი ებრაული ძეგლის მდგომარეობა სრულიად უცნობია — ერაყში არ ფლობენ მონაცემებს იმის თაობაზე, თუ რაგვარ



ბეით ქნესეთი ალექსანდრიაში

მდგომარეობაშია ებრაული ძეგლების ორი მესამედი. სადღესოდ შემონახულია ყველა ძეგლის 11%. ამათი ომეტესობა კი ცუდ, ან ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

ანა ფრანკის სახელობის...



4 ივნისს გერმანიის ქალაქ ცვიკაუში საძირკველი ჩაუყარეს ანა ფრანკის სახელობის ახალი სკოლის მშენებლობას — ძველი, 100 წლის ნაგებობა უკვე უვარგისი გახლავთ. ახალი სკოლის საძირკველში პირველი ქვა სკოლის დირექტორმა იენეს ზეითცმა ჩასდო. ანა ფრანკის სახელობის სკოლაში სწავლობს 170 ბავშვი, რომლებსაც მეტყველების პრობლემები აქვთ. ახალი სკოლის მშენებლობა შვიდი მილიონი ევრო დაჯდება და 2022 წლის სექტემბრისათვის გაიხსნება. უახლოეს ხანს ანა ფრანკის სახელი მიენიჭება ერთ-ერთ ქუჩას, ნიდერლანდებში კი ანა ფრანკის სახელი ბულვარს დაერქმევა.

გაით ქნესეთი — სამოთახიანი ბინის ფასად

«Рядыё Рацыя». (ბელორუსი) იტყობინება, რომ ქ. სლონიმის რაიალმასკომის კულტურის განყოფილებამ გასაყიდ ობიექტთა სიაში შეიტანა ბელორუსის ერთ-ერთი განსაკუთრებული ძეგლი--

მე-17 საუკუნეში — 1642 წელს აგებული ბეით ქნესეთის უნიკალური ნაგებობა. ბეით ქნესეთი ბაროკოს სტილშია აგებული, თუმცა, ალაგ-ალაგ იკვეთება თავდაცვითი ხასიათის არქიტექტორული ობიექტები.

ეს ბეით ქნესეთი 1642 წლიდან მოყოლებული, აგერ 1940 წლამდე მოქმედებდა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ამ ქალაქში 16.000 ებრაელი ცხოვრობდა, მოქმედებდა ებრაული სკოლები, გამოდიოდა გაზეთები ივრითზე, იდიშზე. მეორე მსოფლიო ომის წლებში გერმანელებმა ებრაელობა თითქმის სრულიად ამოწყვიტეს — დახვრეტის სერიები დაიწყო 1941 წლის 24 ივნისს. ამ დღეს



დაიხვრიტა 1250 ებრაელი. მსოფლიო ომის შემდეგ სლონიმში 200 ებრაელი დარჩა. ბეით ქნესეთს სამეურნეო მიზნით გამოიყენებდნენ. მომდევნო წლებში კი ავეჯის მაღაზიის საწყობად გახლდათ გადაქცეული.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ბეით ქნესეთი დანგრევის პირამდე მივიდა. 2001 წელს ნაგებობა ებრაულ თემს დაუბრუნდა. თემი წლების განმავლობაში ამაოდ ეძებდა მისი აღდგენის სახსრებს. ახლა კი გასაყიდ ობიექტთა სიაში შეიტანეს.

